შესანიშნავად ჩატარებული მატჩი

თბილისი. ვ.ი.ლენინის სახ. “დინამოს” სტადიონი. 16 მაისი.

“დინამო” (თბილისი) – “ზენიტი” (ლენინგრადი”) 5:1 (1:0).

“დინამო”: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, სულაქველიძე (კოპალეიშვილი), მინაშვილი, ჭილაია, ჯოხაძე (გ. მაჩაიძე), შენგელია, ყიფიანი, ჩელებაძე.

“ზენიტი”: ტკაჩენკო, დავიდოვი, სტეპანოვი, გოლუბევი, ბონდარენკო, ლარიონოვი, იგნატოვიჩი (გერასიმოვი), კაზაჩონოკი, ჟელუდკოვი, მელნიკოვი (დოლგოპოლოვი), ტიმოფეევი.

მსაჯი: ი. დუტკო (ლვოვი).

დუბლიორები – 2:1. ბურთები გაიტანეს მუმლაძემ და კოპალეიშვილმა.

ათეული წლებია ლენინგრადის “ზენიტს” არ ჰქონდა ისეთი მიღწევები, როგორც წლეულს გააჩნია. მოხდა სრული მეტამორფოზა იმ უწყინარი, საშუალო გუნდიდან, რომელიც ლიდერობას იმდენად არ ცდილობდა, რამდენადაც აუტსაიდერობის ძნელი მდგომარეობიდან თავის დაღწევას. გუნდმა გათამაშების სათავეში დაიმკვიდრა ადგილი და ამდენად, მისი გამოსვლებიც მიმდინარე ჩემპიონატის ცენტრალურ მოვლენად იქცა.

ახლა, როცა ასეთი წარმატებებია მიღწეული, ლენინგრადელები ყოველ ღონეს მიმართავენ, რათა შეინარჩუნონ წარმატება და არც ერთ მატჩში, იქნება ეს შინ, თუ სტუმრად, არ დაუთმონ მეტოქეებს.

მაგრამ ერთია სურვილი და სულ სხვა – მისი განხორციელების გზები, შესაძლებლობანი. ზენიტელებმა თამაში დაიწყეს მაღალ ტემპში, შეუნელებელი მოძრაობით, სწრაფად, მაგრამ მათი ეს ტოტალური მცდელობანი ერთიათად დაიმსხვრა თბილისის “დინამოს” საშემსრულებლო ინდივიდუალური ოსტატობისა და საერთო მაღალი კლასის წინაშე. ლენინგრადელებმა ყველაფერი შესწირეს პირველ ტაიმს, ხოლო მეორეში აბსოლუტურად დათმეს ყველაფერი. მასპინძლებმა კი თანდათან, მეთოდურად მოუმატეს თამაშს და საბოლოოდ დიდი ანგარიშით გამარჯვებამდე მიიყვანეს ეს შესანიშნავად ჩატარებული მატჩი.

პირველი ტაიმი მოკრძალებული ანგარიშით დამთავრდა – 1:0. ბურთი გაიტანა ჩელებაძემ. შესვენების შემდეგ მინაშვილმა მეორედ აიღო ტკაჩენკოს კარი, შემდეგ, 70–ე წუთზე, მასპინძელთა კარში დაინიშნა პენალტი, რომელიც ზუსტად გამოიყენა კაზაჩონოკმა და იმავე წუთს სამაგიერო 11–მეტრიანით დაჯარიმდნენ ლენინგრადელები – ყიფიანი წააქციეს. ჩელებაძემ ისევ აღადგინა 2–ბურთიანი განსხვავება – 3:1.

ამის შემდეგ კიდევ უფრო აშკარა შეიქმნა თბილისის “დინამოს” ტერიტორიული, ტაქტიკური და ტექნიკური უპირატესობა. გუნდმა თავისი ლიდერის – ყიფიანის მეთაურობით მდგომარეობის ხსნის არავითარი შანსი არ დაუტოვა მეტოქეს, ცხადყო თავისი მდიდარი პოტენციური შესაძლებლობანი და მზარდი სპორტული ფორმა. მინაშვილმა და ჩივაძემ მოათავეს “ზენიტის” დიდი ანგარიშით დამარცხების საქმე – 5:1.

რ. ქორიძე.

“ლელო”, 17 მაისი, 1980 წ.